განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

## შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 24 მაისი, 2018

დასკვნის წარდგენის თარიღი: 4 ივლისი

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 201951637 |
| დაწესებულების სახე | უნივერისტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა (მესამე საფეხური) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 02 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **გოჩა თუთბერიძე** ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **რუსუდან სეთურიძე** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ირაკლი გაბრიაძე** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში 2012 წლიდან ფუნქციონირებს. პროგრამა ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის ხარისხს;
  - პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს, რომელიც სტუდენტმა ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს და ეტაპობრივად დალაგებული ორი კომპონენტისგან შედგება. ესენია: სასწავლო 60 ECTS კრედიტი და კვლევითი 120 ECTS კრედიტი. ამასთან, სასწავლო კომპონენტი მოიცავს 6 სავალდებულო სასწავლო კურსს: აკადემიური წერა (5 ECTS), სამეცნიერო კვლევის მეთოდები (5 ECTS); სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 ECTS); პროფესორის ასისტენტობა (15 ECTS); პირველი თემატური სემინარი (10 ECTS); მეორე თემატური სემინარი (15 ECTS).

    რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, ის მოიცავს სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში კვლევის განხორციელებას, ნაშრომის დაწერას, დაცვასა და პუბლიკაციას სადოქტორო სკოლისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 24 მაისს. ვიზიტამდე 22 მაისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, რუსუდან სეთურიძე, ირაკლი გაბრიაძე) 10 საათიდან და 2 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
  - 24 მაისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (კანცლერი, რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია II, III და V სტანდარტებთან, ნაწილობრივ შესაბამისობაშია I სტანდარტთან და მეტწილად შესაბამისობაშია IV სტანდარტთან.

- სასწავლო კომპონენტი არ ითვალისწინებს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების სწავლებას, ხოლო შეთავაზებული კურსი სამეცნიერო კვლევის მეთოდები თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ვერ ჩაანაცვლებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს.

- სასწავლო კომპონენტის ნაწილში არჩევით სასწავლო კურსად შეთავაზებულია „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი". სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ ამ კურსის შესწავლის შემდეგ „დოქტორანტს ექნება ბიზნესის თანამედროვე პრობლემატიკის მათ შორის მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიის აქტუალური საკითხების ცოდნა და მათი სწორი გააზრებისა და ამოცანის დასმის მეშვეობით წარმატებული გაცნობიერების უნარი", ხოლო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში კი მითითებულია, რომ „დოქტორანტს ექნება სათანადო ინფორმაციული რესურსებისა და დასახული მიზნების შესაბამისად, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ბიზნეს-პროგრამებისა და ბიზნეს-პროექტების დაგეგმვისა და წარმართვის უნარი". თუმცა სასწავლო კურსის შინაარსით, რომელიც საკმაოდ ეკლექტურია და გამოყენებული ლიტერატურით, ასეთ შედეგებზე გასვლა ნაკლებად სავარაუდოა.
- პროგრამაზე არჩევით სასწავლო კურსებად შეთავაზებულია ორი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი: „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი" და „განათლების მენეჯმენტი". შესაბამისად, პროგრამა არ სთავაზობს დოქტორანტებს, მათი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, არჩევით სასწავლო კურსებს.
- სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში სულ დაცული იქნა 7 სადისერტაციო ნაშრომი. ვიზიტის დროს გადამოწმდა სადისერტაციო ნაშრომები. სადისერტაციო ნაშრომებში გამოყენებული წყაროები ძირითადად ქართულენოვანია და გამოყენებული ლიტერატურა საკმაოდ მწირია. ძირითადად გამოყენებულია სახელმძღვანელოები და მონოგრაფიული სტილის ლიტერატურა. ბუნდოვანია კვლევის მეთოდოლოგია და სადისერტაციო ნაშრომები, შემოწმების პერიოდისათვის არ იყო შემოწმებული პლაგიატზე. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საქრთველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით მოხდებოდა ყველა სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება.
- ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.
- პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან არა მხოლოდ აკადემიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები, არამედ დოქტორანტებიცა და კურსდამთავრებულებიც.
- პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით

დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით სწავლების უფლება ეზღუდებათ ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს, მათ შორის ეკონომიკის მიმართულების მაგისტრებსაც.

- ექსპერტთა ჯგუფის აზრით ასეთი შეზღუდვა: 1. ამცირებს კონკურსს და შესაბამისად, უზღუდავს დაწესებულებას არჩევანს რათა უზრუნველყოს პროგრამაზე უკეთესი დოქტორანტების მიღება; 2. კვლევები ბიზნესის ადმისნისტრირების სფეროში ინტერდისციპლინარულია და მჭიდროდ უკავშირდება, როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო, ასევე სოციალურ მეცნიერებებს. უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში დამკვიდრდა ტერმინი „ეკონოფიზიკა“, რაც გულისხმობს ფიზიკის მოდელების გამოყენებას ბიზნესის და ეკონომიკის კვლევებში, ამიტომ დაშვების ასეთი შეზღუდვა წმინდა მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარეც, გაუმართლებელია.
- ყოველ წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში იმართება საერთაშორისო კონფერენცია (წელს მეექვსედ), რომელშიც მონაწილეობას იღებენ ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები საკმაოდ აქტიურად იღებენ მონაწილეობას აღნიშნულ კონფერენციაში.
- სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის ინიციატივით სტუდენტთა კვლევით პროცესში ჩართვის წასახალისებლად შეიქმნა მცირე გრანტების კონკურსი (4500 ლარი) სადაც პროექტის ხელმძღვანელს მოეთხოვება სტუდენტის ჩართულობა პროექტში.
- 2009 წლიდან უნივერსიტეტში გამოდის რეცენზირებადი, სამენოვანი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე“.
- მიმდინარე სასწავლო წელს ბიზნესის ფაკულტეტის 4 პროფესორი საზღვარგარეთის სხვადასხვა ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესშია ჩართული და ატარებს ლექციებს. ასევე დოქტორანტურის ორი სტუდენტი იმყოფება გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ სასწავლო ვიზიტით.
- ალკალას უნივესრსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს ორმაგი ხარისხის მინიჭებას, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ დოქტორანტი თემას დაიცავს უნივერსიტეტში მას ავტომატურად აქვს საშუალება იგივე თემა პირდაპირ დაიცვას ალკალას უნივერსიტეტში და მიიღოს შესაბამისი ხარისხი აღნიშნული უნივერსიტეტიდან. ჯერჯერობით ამ შესაძლებლობის გამოყენების შემთხვევა არ ყოფილა.
- გასაუბრების დროს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ნაწილი აღნიშნავდა იმას, რომ მათ სჭირდებათ/სჭირდებოდათ ინგლისურ ენაზე არსებული მასალების თარგმანი, რადგან მათი ინგლისურის ცოდნა არ იყო საკმარისი სამეცნიერო მასალებთან მუშაობისათვის.
- "ბიზნესის ადმინისტრირების" საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 3 პროფესორი და 19 ასოცირებული პროფესორი. მათ შორის, სამი აფილირებული პროფესორი, რომლებიც დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად იღებენ საათობრივ ანაზღაურებას. გარდა ამისა, საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო

ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისთვის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან, სპეციალისტების მოწვევას, რომელთაც აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, სპეციალური მომზადება და შრომები კონკრეტული მიმართულებით. პროგრამაზე ამჟამად სწავლობს 15 სტუდენტი.

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ერაზმუს+-ის გაცვლითი პროგრამა, რომლითაც სარგებლობენ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.
- 2018 წლიდან შეიქმნა სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დოქტორანტთა მომზადებასა და საერთაშორისო პროექტებსა თუ კვლევებში მათ ჩართულობას, რაც დადასტურდა დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ინტერვიურებისას წარმოდგენილი დოკუმენტაციით. ამასთან ზემოთ აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ ერთ-ერთმა დოქტორანტმა გაიმარჯვა და მოიპოვა შ.რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი.
- სასწავლო მასალა ნაწილობრივ არის დაფუძნებული მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და შესაბამისად, ნაწილობრივ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, გადამუშავდეს სასწავლო კურსების: "ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები" - 2011, "კვლევა და ანალიზი" - 2011, "განათლების მენეჯმენტი" - 2011, "სამეცნიერო კვლევის მეთოდები" - 2009, "სწავლების თანამედროვე მეთოდები" - 2011 სავალდებულო ლიტერატურა და აისახოს მასში თანამედროვე კვლევები და ტენდენციები.

- რეკომენდაციები

  - დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ სწავლის შედეგები
  - დაწესებულებამ სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლება
  - დაწესებულებამ გაზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შესთავაზოს დოქტორანტებს არჩევითი სასწავლო კურსები
  - დაცული დისერტაციები გადამოწმდეს პლაგიატზე და მომავალში დისერტაციები დაცვაზე დაიშვას მხოლოდ მათი პლაგიატზე შემოწმების შემდეგ
  - განხორციელდეს ცვლილებები საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში;
  - გადაიხედოს სასწავლო კურსების: "ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები" - 2011, „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“.- 2011, "განათლების მენეჯმენტი" - 2011, "სამეცნიერო კვლევის მეთოდები" - 2009, "სწავლების თანამედროვე მეთოდები" - 2011 სავალდებულო ლიტერატურა და აისახოს მასში თანამედროვე კვლევები და ტენდენციები.
  - მიზანშეწონილია დაწესებულებამ შიდა გამოცდების საშუალებით შეარჩიოს ისეთი დოქტორანტები რომელთაც ნამდვილად უდასტურდებათ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საგანამანათლებლო პროგრამაზე ისეთი აფილირებული პროფესორების ჩართვა, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე თავად არიან ჩართული კვლევით პროექტებში ან ეწევიან კვლევას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია შეიცვალოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგარამაზე სწავლის უფლება გავრცელდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრანტების ან მათთან გათანაბრებულ პირებზე

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- წინა აკრედიტაციიდან დღემდე დაცული იქნა შვიდი სადისერტაციო ნაშრომი
- წინა აკრედიტაციის ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიცემული რეკომენდაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით არ იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>კავკასიის საერთაშორსიო უნივერსიტეტის მისიის თანახმად „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქმნის თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით, ინტერკულტურული განათლებითა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო ცხოვრებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული ღირებულებების მქონე თაობის აღზრდას“. აღნიშნული მისიიდან გამომდინარე, სადოქტორო |

| |
|---|
| საგანამანათლებლო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს მაღალკვალიფიციური მეცნიერ-მკვლევარის ჩამოყალიბება, რომელსაც უნარი შესწევს: გამოიმუშაოს ახალი იდეები, შექმნას ახალი ცოდნა, კრიტიკულად გაანალიზოს დაგროვილი იდეები და პასუხისმგებლობით მოეკიდოს ამ ინფორმაციის ტრანსფორმაციასა და გავრცელებას; ჩაატაროს ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეულ დარგში მიმდინარე პროცესების ანალიზი, გამოავლინოს ტენდენციები, კრიტიკულად გაანალიზოს დაგროვილი ცოდნა და მოახდინოს ახალი იდეების გენერირება-რეალიზება; პროგრამამ უნდა მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით დოქტორი, რომელსაც შესწევს უნარი ეწეოდეს აკადემიურ საქმიანობას, კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლის საფუძველზე მოახდინოს ახალი ცოდნისა და ინფორმაციის აკუმულირება, აქტუალური საკითხების კვლევა და მეცნიერული ანალიზი. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მეტ-ნაკლებად მიღწევადია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წესდება;<br>○ თვითშეფასების კითხვარი;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები. |
| რეკომენდაციები:<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა |

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, მეტწილად უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს. პირველ სემესტრში დოქტორანტი სწავლობს აკადემიურ წერას, სამეცნიერო კვლევის მეთოდებს და სწავლების თანამედროვე მეთოდებს თითეულს 5 ECTS მოცულობით, პროფესორის ასისტენტობა 15 ECTS, პირველი თემატური სემინარი 10 ECTS, მეორე თემატური სემინარი 15 ECTS მოცულობით. პირველივე სემესტრში გათვალისწინებულია ასევე, სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები: ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი (5 ECTS); განათლების მენეჯმენტი (5 ECTS);

სასწავლო კომპონენტი არ ითვალისწინებს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების სწავლებას, ხოლო შეთავაზებული კურსი სამეცნიერო კვლევის მეთოდები თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ვერ ჩაანაცვლებს რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს.

სასწავლო კომპონენტის ნაწილში არჩევით სასწავლო კურსად შეთავაზებულია „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“. სასწავლო კურსის სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ ამ კურსის შესწავლის შემდეგ „დოქტორანტს ექნება ბიზნესის თანამედროვე პრობლემატიკის, მათ შორის მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების, ბუღალტერიის აქტუალური საკითხების ცოდნა და მათი სწორი გააზრებისა და ამოცანის დასმის მეშვეობით წარმატებული გაცნობიერების უნარი“, ხოლო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში კი მითითებულია, რომ „დოქტორანტს ექნება სათანადო ინფორმაციული რესურსებისა და დასახული მიზნების შესაბამისად, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ბიზნეს-პროგრამებისა და ბიზნეს-პროექტების დაგეგმვისა და წარმართვის უნარი“, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსით, რომელიც საკმაოდ ეკლექტურია და გამოყენებული ლიტერატურით, ასეთ შედეგებზე გასვლა ნაკლებად სავარაუდოა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ცალკეული კურსების სილაბუსები;
- უსდ-ის ხარისხის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან და

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები:**

დაზუსტდეს სასწავლო კურსის „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ სწავლის შედეგები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა შედგება **სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისაგან (120 ECTS)**, თუმცა სასწავლო კომპონენტი არ მოიცავს დოქტორანტურის პროგრამისათვის აუცილებელ ისეთ სასწავლო კომპონენტებს როგორიცაა კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. ინტერვიუს დროს დაწესებულებამ აღნიშნული ახსნა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით, რომლის თანახმად პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრებს ან მათთან გათანაბრებულ პირებს.

პროგრამაზე არჩევით სასწავლო კურსებად შეთავაზებულია ორი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი: „ბიზნესის მართვის აქტუალური პრობლემები, კვლევა და ანალიზი“ და „განათლების მენეჯმენტი“. შესაბამისად, პროგრამა არ სთავაზობს დოქტორანტებს მათი

| |
|---|
| კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე არჩევით სასწავლო კურსებს.<br>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მესამე საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.<br>სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირების პერიოდში სულ დაცული იქნა 7 სადისერტაციო ნაშრომი. ვიზიტის დროს გადამოწმდა სადისერტაციო ნაშრომები. სადისერტაციო ნაშრომებში გამოყენებული წყაროები ძირითადად ქართულენოვანია და გამოყენებული ლიტერატურა საკმაოდ მწირია. ძირითადად გამოყენებულია სახელმძღვანელოები და მონოგრაფიული სტილის ლიტერატურა. ბუნდოვანია კვლევის მეთოდოლოგია და სადისერტაციო ნაშრომები, შემოწმების პერიოდისათვის, არ იყო შემოწმებული პლაგიატზე. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ საქრთველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით მოხდებოდა ყველა სადისერტაციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ კურსების სილაბუსები;<br>○ უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან — პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრები;<br>○ სტუდენტებთან გასაუბრება. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>- დაწესებულებამ სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების სწავლება<br>- გაზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა და კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე შესთავაზოს დოქტორანტებს არჩევითი სასწავლო კურსები<br>- დაცული დისერტაციები გადამოწმდეს პლაგიატზე და მომავალში დისერტაციები დაცვაზე დაიშვას მხოლოდ მათი პლაგიატზე შემოწმების შემდეგ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანამნათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ნებისმიერი სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციული ორგანიზაციები (კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები და საზოგადოებები), აგრეთვე არაკომერციული ორგანიზაციები და გაერთიანებები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა ბიზნესის მართვის სფეროში. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორებს ასევე შეუძლიათ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, აგრეთვე შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით. თუმცა, იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგებმა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა საგანამანათლებლო და დასაქმების ბაზარზე, მიზანშეწონილია საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში განხორციელდეს ის ცვლილებები, რომლებიც რეკომდირებულია ქვესტანდარტი 1.2 და 1.3-ის ფარგლებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან — პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში ჩართულნი არიან არა მხოლოდ აკადემიური, მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები, არამედ დოქტორანტებიცა და კურსდამთავრებულებიც. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავებაში. აღნიშნულ სფეროში არსებული სიახლეების გათვალისწინებით, პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ახდენს პროგრამასა და სილაბუსებში ცვლილებების შეტანას. პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობას ღებულობენ სტუდენტები, რაც ითვალისწინებს: პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარებას. რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და პროგრამის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის მექანიზმი. დამსაქმებელთა ჩართულობა ხორციელდება როგორც ორმხრივი თანამშრომლობის პირობებში, ასევე პრაქტიკის ორგანიზებით: ამ პროცესში დამსაქმებლების მხრიდან უნივერსიტეტი იღებს რეკომენდაციებს და წინადადებებს სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. |

| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ აკადემიურ პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრება;<br>○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები. |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და | | X | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებით სწავლების უფლება ეზღუდებათ ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს, მათ შორის ეკონომიკის მიმართულების მაგისტრებსაც. ექსპერტთა ჯგუფის აზრით ასეთი შეზღუდვა: 1. ამცირებს კონკურსს და შესაბამისად, უზღუდავს დაწესებულებას არჩევანს მიიღოს პროგრამაზე უკეთესი დოქტორანტები; 2. კვლევები ბიზნესის ადმისნისტრირების სფეროში ინტერდისციპლინარულია და მჭიდროდ უკავშირდება როგორც ზუსტ და საბუნებისმეტყველო ასევე სოციალურ მეცნიერებებს. უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში დამკვიდრდა ტერმინი „ეკონოფიზიკა“, რაც გულისხმობს ფიზიკის მოდელების გამოყენებას ბიზნესისა და ეკონომიკის კვლევებში. ამიტომ დაშვების ასეთი შეზღუდვა წმინდა მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარეც, გაუმართლებელია. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში პირი ვალდებულია ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება;<br>○ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>○ მიმდინარე სტუდენტებთან გასაუბრება;<br>○ უნივერსიტეტის ვებ გვერდი http://www.ciu.edu.ge. |

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია შეიცვალოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგარამაზე სწავლის უფლება გავრცელდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათ მაგისტრანტების ან მათთან გათანაბრებულ პირებზე

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, ახსნა–

განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ბიზნესის კვლევისა და სამეცნიერო კვლევის მეთოდებს.
პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი კომპონენტის შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების კითხვარი;
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება;
- მიმდინარე სტუდენტებთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| 2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია |
